საღმრთო ლიტურღია

დიაკონი: **გ**ვაკურთხენ, მეუფეო.

მღვდელი: **კ**ურთხეულ არს მეუფება, მამისა და ძჳისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

დიაკონი: **მ**შიდობით, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ *(ყოველ მუხლზე)*.

- **ზ**ე გარდამო მშვიდობისა, და ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთასა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- **მ**შვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა, კეთილად დგომისათვის წმიდათა ღვთისა ეკლესიათა, და ყოველთა ერთობისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- **წ**მიდისა ამის სახლისათვის, სარწმუნოებითა, სასოებითა, და შიშითა ღვთისათა შემავალთა ამას შინა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- **უ**წმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა, დიდისა მეუფისა, მამისა ჩვენისა ილიასათვის, მიტროპოლიტთა, მთავარეპისკოპოსთა, ეპისკოპოსთა, პატიოსანთ მღვდელთა, ქრისტეს მიერ დიაკონთა, და ყოვლისა

სამღვდელოისა დასისა და ერისა მათისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ

- ღვთივდაცულისა ერისა ჩვენისა, მთავრობისა და მხედრობისა მისისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- თანა მბრძოლებისათვის, და დამორჩილებისა ქვეშე ფერხთა მათთა ყოველთა მტერთა და მბრძოლთა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- (სამეუფოსა) ქალაქისა ამის ჩვენისა *(უკეთუ იყოს მონასტერი და წმიდისა ამის მონასტრისა)*, და ყოვლისა ქალაქებისა და სოფლებისათვის, და სარწმუნოებით მკვიდრთა მათ შინა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- კეთილ შეზავებისათვის აერთასა, კეთილ გამოღებისათვის ნაყოფთა ქუეყანისათა, და ჟამთა მშვიდობისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- მენავეთა, მოგზაურთა, სნეულთა, მშრომელთა, ტყვეთა ხსნისა,და ცხოვრებისა მათისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- ხსნად ჩვენდა ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ, და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

- ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროსადკურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა, და მარადისქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა, თავნი თვისნი და ურთიერთას, და ყოველი ცხოვრებაი ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ.

გუნდი: შენ, უფალო.

I ანტიფონის საიდუმლო ლოცვა

მღვდელი: უფალო ღმერთო ჩვენო, რომლისა სიმტკიცე განუზომელ და დიდება მიუწვთომელ, რომლისა წყალობა აურაცხელ და კაცთმოყვარება მიუთხრობელ არს. შენ მეუფეო, მოწყალებისაებრ შენისა, მოიხილე ჩვენზედა და წმიდასა ამას სახლსა ზედა, ჰყენ ჩვენთანა და თანამლოცველთა ჩვენთა თანა მდიდრად წყალობანი და მოწყალებანი შენი.

ასამაღლებელი: **რამეთუ შვენის შენდა ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნუსამდე.**

გუნდი: ამინ.

გამომსახველობით ანტიფონები

I ანტიფონი

1. აკურთხევს, სული ჩემი, უფალსა. კურთხეულ ხარ, შენ უფალო. აკურთხევს, სული ჩემი, უფალსა და ყოველი გონება ჩემი - სახელსა წმიდასა მისსა.
2. აკურთხევს სული ჩემი უფალსა, და ნუ დაივიწყებ ყოველსა მოცემულსა მისსა.

1. რომელმან გილხინა შენ ყოველთა უშჯულოებათა შენთაგან, რომელმან განკურნნა ყოველნი სნეულებანი შენნი;
2. რომელმან იხსნა განხრწნისაგან ცხოვრება შენი და გვირგვინოსან-გყო შენ წყალობითა და შეწყნარებითა;
1. რომელმან აღავსო კეთილთა მიერ გულის-თქმა შენი; განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი.
2. ჰყვნის წყალობანი უფალმან, და სამართალი ყოველთა-თვის დაწუნებულთა.

1. აუწყნა გზანი მისნი მოსეს, და ძეთა ისრაელისათა - ნებანი მისნი.
2. შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი, სულგრძელ და დიდად მოწყალე.

1. არა სრულიად განრისხნეს, არცა უკუნისამდე ძვირი იხსენოს;
2. არა ცოდვათა ჩვენთაებრ მიყო ჩვენ, არცა უშჯულოებათა ჩვენთაებრ მომაგო ჩვენ.

1. რამეთუ რავდენ მაღალ არიან ცანი ქვეყანისაგან, განაძლიერა უფალმან წყალობა მისი მოშიშთა მისთა ზედა.
2. რაოდენ განშორებულ არიან აღმოსავალნი დასავალსა, განმაშორა ჩვენგან უშჯულოებანი ჩვენნი.

1. ვითარცა სწყალობს მამა შვილთა, შეიწყალნა უფალმან მოშიშინი მისნი.
2. რამეთუ მან უწყის დაბადებაი ჩვენი, მოიხსენა, რამეთუ მიწანი ვართ.

1. კაცი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი, ვითარცა ყვავილი ველისა ეგრე აღყვავდეს.
2. რამეთუ განვლო სულმან მის შორის, და არღარა იყოს, და არცა იცნას ადგილი მისი.

1. ხოლო წყალობა უფლისა საუკუნითგან და ვიდრე უკუნისამდე მოშიშთა მისთა ზედა, და სიმართლე მისი - შვილითი შვილადმდე.
2. რომელთა დაიმარხიან აღთქმაი მისი და მოიხსენნიან მცნებანი მისნი და ყვნიან იგინი.

1. უფალმან ზეცას განმზადა საყდარი მისი, და სუფევა მისი ყოველთა ზედა ეუფლების.
2. აკურთხევდით უფალსა ყოველნი ანგელოზნი მისნი, ძლიერნი ძალითა, რომელნი ჰყოფენ სიტყვასა მისსა, სმენად ხმაი სიტყვათა მისთა.

1. აკურთხევდით უფალსა ყოველნი ძალნი მისნი, მსახურნი მისნი, რომელნი ჰყოფენ ნებასა მისსა.
2. აკურთხევდით უფალსა ყოველნი ქმნულნი მისნი ყოველსა ადგილსა უფლებისა მისისასა; აკურთხევს სული ჩემი უფალსა.

1. დიდება, აწ და;
2. აკურთხევს, სული ჩემი, უფალსა და ყოველი გონება ჩემი - სახელსა წმიდასა მისსა. კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

დიაკონი: **მერმე და მერმე მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.**

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ.

- შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

- ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროსადკურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა, თავნი თვისნი და ურთიერთას, და ყოველი ცხოვრებაი ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ.

გუნდი: შენ უფალო.

II ანტიფონის საიდუმლო ლოცვა

მღვდელი: უფალო ღმერთო ჩუენო, აცხოვნე ერი შენი და აკურთხე სამკვიდრელი შენი, სავსება ეკლესიისა შენისა დაიცევ, წმიდა-ჰყვენ მოყვარენი სახლისა შენისა შვენიერებისანი; შენ იგინი ნაცვლად ადიდენ ღვთაებრივითა ძალითა შენითა და ნუ დამიტევებ ჩვენ, მოსავთა შენდამი.

ასამაღლებელი: **რამეთუ შენი არს სიმტკიცე და შენი არს სუფევა, და ძალი და დიდება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.**

გუნდი: ამინ. დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

II ანტიფონი:

1. აქებს, სული ჩემი, უფალსა, ვაქებდე უფალსა ცხოვრებასა ჩემსა, უგალობდე ღმერთსა ჩემსა, ვიდრემდის ვიყო მე.

2. ნუ ესავთ მთავართა, ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არა არს ცხოვრება.
1. გამოვიდის სული მისი და მიიქცის მუნვე მიწად მისდა: მას დღესა შინა წარწყმდიან ყოველნი ზრახვანი მისნი.
2. ნეტარ არს, რომლისა ღმერთი იაკობისი შემწე არს მისსა, და სასოება მისი არს უფლისა მიმართ ღვთისა მისისა.
1. რომელმან ჰქმნნა ცანი და ქვეყანაი, ზღვაი და ყოველი, რა არს მას შინა.
2. რომელი იმარხავნ ჭეშმარიტებასა უკუნისამდე, ჰყვის სამართალი ვნებულთა და სცის საზრდელი მშიერთა.
1. უფალმან განჰხსნნის კრულნი, უფალმან განაბრძვნის ბრმანი.
2. უფალმან აღჰმართნის დაცემულნი, უფალსა უყუარან მართალნი.
1. უფალმან დაიცვნის მწირნი, ობოლი და ქვრივი შეიწყნაროს, და გზაი ცოდვილთაი წარსწყმიდოს.
2. სუფევს უფალი უკუნისამდე, ღმერთი შენი, სიონ, თესლითი თესლამდე.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

„მხოლოდშობილი ძე...“

მხოლოდშობილი ძე და სიტყვა ღვთისა უკვდავი არსება! თავს იდვა ჩვენისა ცხოვრებისათვის: ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა უქცეველად განკაცნა; და ჯვარს ეცვა ქრისტე ღმერთი ჩვენი, სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა, და ერთი წმიდისა სამებისა თანა დიდებულ არს, მამისა და ყოვლადწმიდისა სულისა, გვაცხოვნენ ჩვენ.

დიაკონი: მერმე და მერმე მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ.

- შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

- ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროსადკურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა, თავნი თვისნი და ურთიერთას, და ყოველი ცხოვრებაი ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ.

გუნდი: შენ უფალო.

III ანტიფონის საიდუმლო ლოცვა

მღვდელი: ზიართა ამათ და ერთხმობითა ლოცვათა ჩვენდა მომნიჭებელო, და ორთა და სამთა, შეთქმულთა სახელითა შენითა, თხოვათა აღსრულებისა აღმთქმელო: შენ აწცა მონათა შენთა თხოვანი უმჯობესისა მიმართ სრულ-ჰყვენ, აწინდელსაცა ამას საუკუნესა მეცნიერებასა ჭეშმარიტებისა შენისასა მომცემელმან, ხოლო მერმისა ცხოვრებისა ჩვენისა მომნიჭებელმან ჩვენდა.

ასამაღლებელი: **რამეთუ სახიერი და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.**

გუნდი: ამინ.

III ანტიფონი, ნეტარებები

1. სასუფეველსა შენსა მომიხსენენ ჩვენ, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.
1. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.
2. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ.
1. ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.
2. ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღენ.
1. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.
2. ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.
1. ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ.
2. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.
1. ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდენ, და გდევნიდენ, და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ, სიცრუით ჩემთვის.
2. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა.
1. დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.
2. აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სადაგი დღის ანტიფონები

I ანტიფონი:

1. კურთხეულ არს აღსარება უფლისა.

მეოხებითა ღვთისმშობელისათა, მაცხოვარ, გვაცხოვნე ჩვენ (*ჩაერთვის ყოველი მუხლის შემდეგ*).

2. კურთხეულ არს აღსარება უფლისა, და გალობად სახელსა შენსა მაღალო.
1. მითხრობად ცისკარს წყალობა შენი, და ჭეშმარიტება შენი ღამედ-ღამედ.
2. რამეთუ მართალ არს უფალი ღმერთი ჩვენი, და არა არს სიცრუე მისთანა.
1. დიდება.
2. აწ და.

II ანტიფონი:

1. უფალი სუფევს, შვენიერება შეიმოსა.

მეოხებითა წმიდათა შენთათა, მაცხოვარ, გვაცხოვნე ჩვენ.

2. უფალი სუფევს, შვენიერება შეიმოსა. შეიმოსა უფალმან ძალი და გარეშეირტყა.
1. და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას.
2. წამებანი შენნი, უფალო, საწმუნო იქმნენ ფრიად: სახლსა შენსა შვენის სიწმიდე, უფალო, სიგრძესა შინა დღეთასა.

დიდება, აწ და: „მხოლოდშობილი ძე...“

III ანტიფონი:

1. მოვედით უგალობდეთ უფალსა, ვღარადებდეთ ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩვენისა.
   გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღმრთისაო, წმიდათა შორის საკვირველო, მგალობელნი შენნი: ალილუია.
2. აღვიმსთოთ წინაშე პირსა მისსა აღსარებითა, და ფსალმუნითა უღაღადებდეთ მას.
1. რამეთუ ღმერთი დიდ-არს, და მეუფე დიდ-არს ყოველსა ქვეყანასა-ზედა.

2. რამეთუ ხელსა შინა მისსა არიან კიდენი ქვეყანისანი, და სიმაღლენი მთათანი მისნი არიან.
1. რამეთუ მისი არს ზღვა, და მან შექმნა იგი, და ხმელი ხელთა მისთა დაბადნეს.

შესვლა სახარებით

დიაკონი: უფლისა მიმართ ვილოცოთ

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ.

ლოცვა შესვლისა საიდუმლოდ

მღვდელი: მეუფეო უფალო, ღმერთო ჩვენო, რომელმან დააწესენ ცათა შინა განწყობილნი მხედრობანი ანგელოზთანი და მთავარანგელოზთანი, მსახურებად დიდებისა შენისა: ჰყავ შესლვასა ჩვენსა თანა წმიდათაცა ანგელოსთა შესლვა, თანამწირველად ჩვენდა და თანადიდების მეტყველებად შენისა სახიერებისა. რამეთუ შვენის შენდა ყოველი დიდება, პატივი და თაყვანის-ცემა, მამისა და ძისადა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

დიაკონი: აკურთხე, მეუფეო, წმიდა შესავალი.

მღვდელი: კურთხეულ არს შესავალი წმიდათა შენთა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

დიაკონი *(მაღალი ხმით):* **სიბრძნით, აღემართენით.**

შესვლად

გუნდი: მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა. გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღვთისაო, აღდგომილო მკვდრეთით, მგალობელნი შენი: ალილუია.

ტროპარ-კონდაკის გალობისას მღვდელი კითხულობს

სანწმიდაობის გალობის საიდუმლო ლოცვას:

მღვდელი: ღმერთო წმიდაო, რომელი წმიდათა შორის განისვენებ, რომელი სამწმიდითა ხნითა სერაბიმთა მიერ იგალობები, და ქერუბიმტა მიერ იდიდებისმეტყველები, და ყოველთაგან ზეცისა ძალთა თაყვანის-იცენები; რომელმან არა არსისაგან არსად მოიყვანენ ყოველნი, რომელმან დაბადე კაცი ხატად და მსგავსად შენდა, ყოვლითავე მადლითა შენითა შეამკევ; და მისცემ მვედრებელთა სიბრდძნესა და გულისხმისყოფასა და არა შეურაცხ-ჰყოფ ცოდვილთა, არამედ განუწესებ სინანულსა საცხოვრებელად; რომელმან ღირს-მყვენ ჩვენ, მდაბალნი და უღირსნი მონანი შენნი, ჟამსაცა ამას დგომად წინაშე დიდებისა წმიდისა საკურთხეველისა შენისა, და თანამდებისა თაყვანისცემისა და დიდებისმეტყველებისა შეწირვად შენდა. შენ, მეუფეო, შეიწირე პირთაგანცა ჩვენ, ცოდვილთასა, სამწმიდაი გალობაი და მომხედენ ჩვენ სიტკბოებითა შენითა, მოგვიტევენ ჩვენ ყოველნი შეცოდებანი ჩვენნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, წმიდა-ჰყვნენ ჩვენი სულნი და ხორცნი და მომეც ჩვენ ღირსებით მსახურებაი შენი

ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა, მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისათა და ყოველთა წმიდათა, საუკუნითგან სანთო ყოვილთა შენთათა.

დიაკონი *(დაბალი ხმით)*: **აკურთხე, მეუფეო, ჟამი სამწმიდაოსი.**

დიაკონი ასამაღლებელი: **უფალო, აცხოვნე კეთილმსახურნი და ისმინე ჩვენი.**

გუნდი: უფალო, აცხოვნე კეთილმსახურნი და ისმინე ჩვენი.

დიაკონი: **უფლისა მიმართ ვილოცოთ.**

გუნდი: უფალო შეგვიწყალენ.

მღვდელი: **რამეთუ წმიდა ხარ ღმერთო ჩვენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის.**

დიაკონი: **და უკუნითი უკუნისამდე.**

გუნდი: ამინ.

გუნდი: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ. *(3-გზის).* დიდება, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ. წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ. წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ.

სამღდელოებაც გალობს „წმიდაო ღმერთოს“, გალობის შემდეგ მიდიან მაღალ დასაჯდომელთან

დიაკონი: **ბრძანე, მეუფეო.**

მღვდელი: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა.

დიაკონი: აკურთხე, მეუფეო, მაღალი დასაჯდომელი.

მღვდელი: კურთხეულ ხარ საყდართა ზედა დიდებისა და მეუფეებისა შენისათა, მჯდომარე ქერუბიმთა ზედა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

დიაკონი: სიბრძნით.

მღვდელი: მშვიდობა ყოველთა.

მედავითნე: და სულისაცა შენისათანა.

დიაკონი: სიბრძნით.

მედავითნე: წარდგონა, ფსალმუნი დავითისი, ხმა...

დიაკონი: სიბრძნით.

მედავითნე: საქმე წმიდათა მოციქულთა საკითხავი *(ან რომაელთა, ან კორინთელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა საკითხავი).*

დიაკონი: მოხედენ.

მედავითნე კითხულობს სამოციქულოს.

მღვდელი: მშვიდობა შენდა.

მედავითნე: და სულისაცა შენისათანა.

დიაკონი: სიბრძნით.

მედავითნე: **ალილუია, ხმა...**

გუნდი: ალილუია *(3-გ ზის). მედავითნე კითხულობს ალილუიას მუხლებს, რაზეც გუნდი პასუხობს ალილუიას გალობით.*

ლოცვა სახარების კითხვის წინ:

მღვდელი: გამოაბრწყინვე გულთა შინა ჩვენთა, კაცთმოყვარეო მეუფეო, ღვთისმეცნიერებისა ნათელი მიუწვდომელი, და გონებისა ჩვენისა თვალნი განახვენ, განცდად სახარებისა შენისა ქადაგებათა, და დასდევ ჩვენზედა ნეტართა მათ მცნებათა შენთა შიში, რათა ყოველი ხორციელი გულისთქმაი დავსთრგუნოთ, და ყოველი სულიერი მოქალაქობაი მოვიგოთ, და ყოველსავე სათნოდ შენდა ვზრახვიდეთ, და ვიქმოდეთ.

რამეთუ შენ ხარ განმანათლებელი სულთა და ხორცთა ჩვენთა, ქრისტე ღმერთო ჩვენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, თანადაუსაბამოთ მამით შენით და ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველმსყოფელით სულით შენით, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დიაკონი: **აკურთხე, მეუფეო, სიტყვანი კეთილმაუწყებელისა წმინდისა, დიდებულისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა** *(სახელი)*.

მღვდელი აკურთხებს და იტყვის: **ღმერთმან, ვედრებითა წმინდისა დიდებულისა და ყოვლადქებულისა**

მოციქულისა და მახარებელისა *(სახელი)*, გცეს შენ სიტყვაი, კეთილმითხრობისა ძალითა მრავლითა, აღსრულებად სახარებისა, საყვარელისა ძისა თვისისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა.

დიაკონი: ამინ.

მღვდელი: სიბრძნით, აღემართენით და ისმინეთ წმიდა სახარება. მშვიდობა ყოველთა.

გუნდი: და სულისაცა შენისათანა.

დიაკონი: *(მათესაგან, ან ვისიც არის)* წმიდისა სახარებისა საკითხავი.

გუნდი: დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა.

მღვდელი: მოხედენ.

დიაკონი კითხულობს სახარებას. დასრულების შემდეგ:

მღვდელი: მშვიდობა შენდა.

დიაკონი: და სულისაცა შენისათანა.

გუნდი: დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა.

მრჩობლი კვერექსი:

დიაკონი: ვსთქვათ ყოველთა ყოვლითა სულითა, და ყოვლითა გონებითა ჩვენითა ვსთქვათ.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ *(ყოველ მუხლზე)*.

- **უ**ფალო ყოვლისამპყრობელო, ღმერთო მამათა ჩვენთაო, გევედრებით, ისმინე და შეგვიწყალენ.

- **შ**ეგვიწყალენ, ჩვენ ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით, ისმინე და შეგვიწყალენ.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ *(3-გ ზის, იმეორებს ყოველ მუხლზე)*.

- **მ**ერმეცა გევედრებით ღვთივდაცულისა ერისა ჩვენისა, მთავრობისა და მხედრობისა მისისათვის.

- **მ**ერმეცა გევედრებით უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა, დიდისა მეუფისა, მამისა ჩვენისა ილიასათვის, მიტროპოლიტთა, მთავარეპისკოპოსთა, ეპისკოპოსთა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათა ჩვენთათვის.

- **მ**ერმეცა გევედრებით ძმათა ჩვენთა მღვდელთა, მღვდელ-მონოზონთა და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათა ჩვენთათვის.

- **მ**ერმეცა გევედრებით სანატრელთა და მარადის მოსახსენებელთა წმიდათა მართლმადიდებელთა პატრიარქთა, კეთილმსახურთა მეფეთა და კეთილმორწმუნეთა დედოფალთა და აღმაშენებელთა წმიდისა ამის ტაძრისათა და ყოველთა პირველ

დაძინებულთა მამათა და ძმათა, აქა მდებარეთა და ყოველთა, მართლმადიდებელთათვის.

- მერმეცა გევედრებით წყალობისა, სიცოცხლისა, მშვიდობისა, სიმრთელისა, ცხოვრებისა, შეწევნისა, შენდობისა, და მიტევებისა ცოდვატასა, მონათა ღვთისათა ძმათა წმიდისა ამის ტაძრისათა *(უკეთუ მონასტერია: წმიდისა ამის მონასტრისათა).*

- მერმეცა გევედრებით ნაყოფისშემომწირველთათვის და კეთილისმყოფელთა წმიდისა და ყოვლადპატიოსნისა ამის ტაძრისა და ამას შინა მშრომელთა, მგალობელთა და აქა მდგომარეთა ერთათვის, რომელნი მოელიან შენ მიერ დიდსა და მდიდარსა წყალობასა.

ლოცვა შევრდომით სავედრებელი:

მღვდელი: უფალო, ღმერთო ჩვენო, აღპყრობილი ესე ვედრებაი შეიწირე მონათა შენთაგან, და შეგვიწყალენ ჩვენ, სიმრავლისაებრ წყალობათა შენთასა, და მოწყალებანი შენნი გარდამოავლინენ ჩვენ ზედა, და ყოველსა ერსა შენსა ზედა, მომლოდნელთა მდიდრად შენ მიერისა წყალობისასა.

ასამაღლებელი: **რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ, და შენდა დიდებასა აღვავლენთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.**

გუნდი: ამენ.

მრჩობლი კვერექსისშენდეგ (ათთორმეტ და ტაძრის დღესასწაულთა გარდა) დიაკონი, საცეცხლურით ხელში, ამბობს მიცვალრბულთა კვერექსს. აღსავლის კარები ამ დროს ღიაა.

დიაკონი: შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით ისმინე და შეგვიწყალენ.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ *(3-გ ზის, ყოველ მუხლზე).*

- მერმეცა გევედრებით განსვენებისათვის სულთა მიცვალებულთა მონათა ღვთისათა *(სახელები)* და რათა შეენდვნეს მათ ყოველნი შეცოდებანნი ნებსითნი და უნებლიეთნი.

- რათა უფალმან ღმერთმან ჩვენმან დააწესოს სულნი მათნი, სადაცა მართალნი განისვენებენ.

- წყალობა ღვთისა და სასუფეველი ცათა და მიტევება ცოდვათა მათთა, ქრისტეს მიერ, უკვდავისა მეუფისა და ღმრთისა ჩვენისაგან, ვითხოვოთ.

გუნდი: მოგვმადლენ, უფალო.

დიაკონი: უფლისა მიმართ ვილოცოთ.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ.

მღვდელი კითხულობს დაბალი ხმით:

ღმერთო სულთაო და ყოველთა ხორციელთაო, რომელმან სიკვდილი განაქარვე და ეშმაკი დასთრგუნე, და ცხოვრება

სოფელსა მოანიჭე, შენ, უფალო, განუსვენე სულთა მონათა შენთასა *(სახელები)* ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწვანვილოვანსა, ადგილსა განსასვენებელსა, სადა იგი არა არს სალმობა, მწუხარება, და სულთქმა; და ყოველნი ცოდვანი მათ მიერ ქმნილნი საქმითნი, სიტყვითნი, და მოგონებითნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან, შეუნდვენ. რამეთუ არ არს კაცი რომელი სცხოვნდეს და არა სცოდოს; რამეთუ შენ მხოლო ხარ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა, და სიმართლე შენი სიმართლე არს საუკუნო, და სიტყვა შენი - ჭეშმარიტ.

ასამაღლებელი: **რამეთუ შენ ხარ აღდგომა, და ცხოვრება და განსვენება მიცვალებულთა მონათა შენთა** *(სახელები)*, **ქრისტე ღმერთო ჩვენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, თანადაუსაბამოთ მამით შენით და ყოვლადწმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.**

გუნდი: ამინ.

(აღსავლის კარი იხურება)

კათაკმეველთა კვერექსი

დიაკონი: **ოლოცეთ, კათაკმეველნო, უფლისა მიმართ.**

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ *(ყოველ მუხლზე)*.

- მორწმუნენო, კათაკმეველთათვის ვილოცოთ, რათა უფალმან იგინიცა შეიწყალნეს.

- და ასწავოს მათ სიტყვა ჭეშმარიტებისა.

- და გამოუცხადოს მათ სახარება სიმართლისა.

- შეაერთნეს იგინი წმიდასა თვისსა, კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიასა.

- აცხოვნენ, შეეწიენ, შეიწყალენ და დაიცვენ იგინი, ღმერთო, მადლითა შენითა.

- კათაკმეველნო, თავნი თქვენი უფალსა მოუდრიკენით.

გუნდი: შენ, უფალო.

ლოცვა კათაკმეველთათვის:

მღვდელი: უფალო ღმერთო ჩვენო, რომელი მაღალთა შინა დამკვიდრებულ ხარ და მდაბალთა ხედავ, რომელმან ცხოვრებისათვის კაცთასა მოავლინე მხოლოდშობილი ძე შენი და ღმერთი, და უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მოიხილე მონათა შენთა კათაკმეველთა ზედა, მომდრეკელთა შენდა ქედთა მათთასა, და ღირს-ჰყუენ იგინი ჟამსა შინა კეთილსა, საბანელსა მეორედ შობისასა, მიტევებასა ცოდვათასა, და სამოსელსა უხრწნელებისასა, შეაერთენ იგინი წმიდასა შენსა კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიასა და თანა-აღრაცხენ იგინი რჩეულსა შენსა სამწყსოსა.

ასამღლებელი: **რ**ათა და ესენიცა ჩვენთანავე ადიდებდენ ყოველადპატიოსანსა და დიდადშვენიერსა სახელსა შენსა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

დიაკონი: **რ**აოდენნი კათაკმეველნი ხართ, განვედით, კათაკმეველნო, განვედით, რაოდენნი კათაკმეველნი ხართ, განვედით. ნუ ვინმე კათაკმეველთაგანნი, არამედ რაოდენნი მორწმუნენი ვართ, მერმე და მერმე მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ.

დიაკონი: **შ**ეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ.

დიაკონი: **ს**იბრძით.

ლოცვა მორცმუნეთათვის I :

მღვდელი: **გ**მადლობთ შენ, უფალო ღმერთო ძალთაო, ღირსმყოფელსა ჩვენსა წარდგომად აწცა წმიდასა შენსა საკურთხეველსა და შევრდომად შენდა მოწყალებათა ჩვენთა ცოდვათათვის და ერისა უმეცრებისათვის. მიითვალე, ღმერთო, ვედრებაი ჩვენი, მყვენ ჩვენ ღირს ყოფად შეწირვად შენდა ვედრებათა და ოხათა, და მსხვერპლთა უსისხლოთა

ყოვლისათვის ერისა შენისა; და კმა-მყვენ ჩვენ, რომელნი დასხმენ მსახურებასა ამას შენსა, ძალითა სულისა შენისა წმიდისათა, უბრალოდ და დაუბრკოლებელად, წმიდითა მოწამებითა სვინიდისისა ჩვენისათა, ხდად შენდა ყოველსა ჟამსა და ადგილსა; რათა, მსმენელი ჩვენი, მწყალობელ ჩვენდა იყო სიმართლითა შენისა სახიერებისათა.

ასამაღლებელი: **რამეთუ შვენის შენდა ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.**

გუნდი: ამინ.

დიაკონი: **მერმე და მერმე მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.**

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ *(ყოველ მუხლზე)*.

- ზე გარდამო მშვიდობისა და ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთასა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა, კეთილად დგომისათვის წმიდათა ღვთისა ეკლესიათა და ყოველთა ერთობისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- წმიდისა ამის სახლისათვის *(ტაძრისა)* **, სარწმუნოებითა, კრძალულებით და შიშითა ღვთისათა შემავალთა ამას შინა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.**

- ხსნად ჩვენდა ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ.

დიაკონი: სიბრძით.

ლოცვა მორცმუნეთათვის II :

მღვდელი: კვალადცა და მრავალგზის შენ შეგივრდებით და შენ გევედრებით, სახიერო და კაცთმოყვარეო, რათა მოხედვითა ვედრებასა ჩვენსა, განსწმიდნე სულნი ჩვენი და ხორცნი ყოვლისაგან შეგინებისა ხორცთა და სულისა, და მომეც ჩვენ უბრალოდ და დაუსჯელად წარდგომად წმიდასა შენსა საკურთხეველსა. მომმადლენ, ღმერთო, ჩვენთანა მლოცველთაცა წარმართებაი ცხოვრებისა და სარცმუნოებისა და გულისხმის ყოფისა სულიერისა. მოეც მათ, ყოვლადვე შიშით და სიყვარულით მსახურთა შენთა, უბრალოდ და დაუსჯელად მოღებად წმიდათა შენთა საიდუმლოთა, და ზეცისა სასუფეველსა ღირს ყოფად.

ასამაღლებელი: **რათა ძლიერებითა შენითა ყოვლადვე დაცულნი, შენდა დიდებასა აღვავლენდეთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.**

გუნდი: ამინ. *(და გალობს „რომელნი ქერუბიმთა“-ს)*

(იღება აღსავლის კარი)

მღვდელი *(დაბალი ხმით)*:

არავინ არს ღირს თანაშეკრული ხორციელთა გულისთქმათა და გემოთა წარდგომად, ანუ მიახლებათ, გინა მსახურებად შენდა, მეყფეო დიდებისაო; რამეთუ მსახურება შენი დიდ არს და საშინელ თვით მათ ზეცისა ძალთადცა, არამედ რამეთუ გამოუთქმელისათვის და აურაცხელისა კაცთმოყვარებითა უქცეველად და უცვალებელად კაც-იქმენ და მღვდელმთავრად ჩვენდა გამოსჩნდი, და მსახურებრივისა ამის და უსისხლოისა მსხვერპლისა მღვდელმოქმედებაი მოგვანიჭე ჩვენ, ვითარცა მეუფემან ყოველთამან, რამეთუ შენ მხოლო, უფალო ღმერთო ჩვენო, მეუფებ ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, საყდარსა ზედა ქერუბიმთასა მჯდომარე, სერაბიმთა უფალი და მეუფე ისრაილისა, მხოლოო წმიდაო და წმიდათა შორის განსვენებულო.

შენ უკუე გევედრები, მხოლოსა სახიერსა და კეთილმსმენელსა: მოიხილე ჩემ, ცოდვილსა და უხმარსა, მონასა შენსა ზედა, და განსწმინდე სული ჩემი და გული ცნობისაგან ბოროტისა, და ღირს მიჩინე მე ძალითა სულისა შენისა წმიდისათა, შემოსილი მღვდლობისა მადლითა, წარდგომად წმიდისა ამის ტრაპეზისა შენისა, და მღვდელ-მოქმედებად წმიდისა უხრწნელისა ხორცისა შენისა და პატიოსნისა სისხლისა შენისა. რამეთუ შენდა მოვივლტი მომდრეკელი ქედისა ჩემისა და გევედრები შენ, ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, ნუცა განმყოფ მე მონათა შენთაგან.

არამედ ჯერ-იჩინე შეწირვად შენდა, ჩემ ცოდვილისა და უღირსისა მონისა შენისა მიერ, მსხვერპლი ესე. რამეთუ შენ ხარ შემწირველი და შეწირული, და შემწყნარებელი და მიმცემელი, ქრისტე ღმერთო ჩვენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, თანა დაუსაბამოთ მამით შენით და ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდემინ.

მღვდელი:

Romელნი ქერუბიმთა საიდუმლოდ ვემსგავსენით და ცხოველსმყოფელსა სამებასა სამწმიდა არსობისა გალობასა შევსწირავთ, ყოველივე მსოფლიო დაუტეოთ ზრუნვა. *(3-გ ზის).*

დიაკონი: **Da ვითარცა მეუფისა ყოველთასა შემწყნარებელსა, ანგელოზთაებრ უხილავად ძღვნის შემწირველთა წესთასა, ალილუია, ალილუია, ალილუია.** *(3-გ ზის).*

მღვდელი და დიაკონი ტრაპეზის წინ დაბალი ხმით წარმოსთქვამენ 3-გზის „რომელი ქერუბიმთა“-ს და მიდიან სამკვეთლოსთან. მღვდელი უკმევს წმიდა ძღვენს და ლოცულობს:

მღვდელი: **Ღmერთო, განმწიდე მე ცოდვილი და შემიწყალე მე** *(3-გ ზის)*

დიაკონი: **Aღიღე, მეუფეო.**

მღვდელი *(აიღებს დაფარნას, დაადებს დიაკონს მარცხენა მხარზე და იტყვის)* **:** **ა**ღიღეთ ხელნი თქვენი წმიდად მიმართ და აკურთხევდით უფალსა.

მღვდელი აიღებს წმიდა ფეშხუმს და დაადებს დიაკონს თავზე, თვითონ კი წმიდა ბარძიმით ხელში გამოდის დიაკონთან ერთად ჩრდილოეთის კარიდან ამბიონზე.

დიდი გამოსვლა

დიაკონი: **უ**წმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე მამია ჩვენი ილია, მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

მღვდელი: **თ**ქვენ და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი, მოიხსენოთ უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

მღველი წმ. ბარძიმს და წმ. ფეშხუმს მოათავსებს ტრაპეზზე და კითხულობს ტროპრებს:

შვენიერმან იოსებ, ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი ხორცი შენი, და არმენაკითა წმინდითა წარგრაგნა, სუნნელებითა შემურვილი, ახალსა საფლავსა დაგდვა.

საფლავსა შინა ხორცითა, ჯოჯოხეთს შინა სულითა, ვითარცა ღმერთი, ხოლო სამოთხეს ავაზაკისა თანა, და

საყდართა მამისა და სულისა თანა იყავ ქრისტე, ყოვლისა აღმავსებელ გარე შემოუწერელო.

ვითარცა ცხოვრებაშემოსილ, ვითარცა ნამდვილ სამოთხისა უშვენიერეს და ყოვლისა სამეფოისა სასძლოისა უბრწყინვალეს გამოსჩნდა, ქრისტე, საფლავი შენი, წყარო იგი ჩვენისა აღდგომისა.

შვენიერმან იოსებ, ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი ხორცი შენი, და არმენაკითა წმინდითა წარგრაგნა, სუნნელებითა შემურვილი, ახალსა საფლავსა დაგდვა.

კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენნენ ზღუდენი იერუსალიმისანი, მაშინ გთნდეს მსხვერპლი სიმართლისა, შესაწირავი და ყოვლადდასაწველი; მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზვარაკნი

მღვდელი-დიაკონს : **მომიხსენე მე, ძმაო და თანამწირველო.**

დიაკონი: **მოიხსენოს უფალმან ღმერთმან მღვდლობა შენი სასუფეველსა თვისსა. ლოცვა-ჰყავ ჩემთვის, მეუფეო წმიდაო.**

მღვდელი: **სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ.**

დიაკონი: **ხოლო იგივე სული თანა-მოქმედ-გვექმნას ჩვენ, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა. მომიხსენე მე, მეუფეო წმიდაო.**

მღვდელი: მოგიხსენოს შენ უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

დიაკონი: ამინ.

თხოვნითი კვერექსი

დიაკონი: აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ *(ყოველ მუხლზე)*

- წინადაგებულთა პატიოსანთა ძღვენთათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- წმიდისა ამის ტაძრისათვის *(მონასტრისათვის)*, სარწმუნოებითა, სასოებითა და შიშითა ღვთისათა შემავალთა ამას შინა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- ხსნად ჩვენდა ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

- დღე ყოველი აღსრულებად, სიწმიდით, მშვიდობით და უცოდველად, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

გუნდი: მოგვმადლენ უფალო *(ყოველ მუხლზე)*

- ანგელოზი მშვიდობისა, სარწმუნო წინამძღვარი, მცველი სულთა და ხორცთა ჩვენთა, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

- შენდობა და მოტევება ცოდვათა და უსჯულოებათა ჩვენთა, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

- კეთილნი და უმჯობესნი სულთა ჩვენთანი და მშვიდობა სოფლისა, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

- შემდგომნი ჟამნი ცხოვრებისა ჩვენისანი, მშვიდობით და სინანულით აღსრულებად, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

- ქრისტეანობითნი აღსასრულნი ცხოვრებისა ჩვენისანი, უჭირველნი, ურცხვენელნი, მშვიდობითნი, და კეთილი სიტყვისგება წინაშე საშინელისა სამსჯავროსა ქრისტესსა ვითხოვოთ.

- ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროსადკურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა, თავნი თვისნი და ურთიერთ არს, და ყოველი ცხოვრებაი ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ.

გუნდი: შენ უფალო.

ლოცვა დაგებისა შემდგომად დადგმისა საღმრთოთა ძღვენთასა წმიდასა ზედა ტრაპეზსა :

უფალო ყოვლისა მპყრობელო, ღმერთო მამათა ჩვენთაო, რომელი შეიწირავ მსხვერპლსა ქებისასა მათგან, რომელნი გხადიან შენ ყოვლითა გულითა. მიითვარე ჩვენცა ცოდვილთა

ვედრებაი, და შეიწირე წმიდასა შენსა საკურთხეველსა, და კმა-მყვენ ჩვენ შეწირვად შენდა ძღვენთა და მსხვერპლთა სულიერთა, ჩვენთა ცოდვათათვის და ერისა უმეცრებისათვის; და ღირს-მყვენ ჩვენ პოვნად მადლსა წინაშე შენსა, კეთილმითვალულ ყოფად შენდა მსხვერპლი ჩვენი, და დამკვიდრებად სულსა მადლისა შენისასა სახიერსა ჩვენ ზედა, და წინა მდებარეთა ამათ ძღვენთა ზედა, და ყოველსა ერსა შენსა.

ასამაღლებელი: **მოცხალებათათვის მხოლოდშობილისა ძისა შენისათა, რომლისა თანა კურთხეულ ხარ, თანა ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.**

გუნდი: ამინ.

მღვდელი: **მშვიდობა ყოველთა.**

გუნდი: და სულისაცა შენისათანა.

დიაკონი: **ვიყუარებოდეთ ურთიერთ არს, რათა ერთობით აღვიარებდეთ.**

გუნდი: მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, სამებასა ერთარსებასა და განუყოფელსა.

მღვდელი *(დაბალი ხმით)*: **შეგიყუარო შენ, უფალო, ძალო ჩემო, უფალო დამამტკიცებელო ჩემო, და შესავედრებელო ჩემო** *(3-გზის).*

დიაკონი: **კარნი, კარნი, სიბრძნით მოხედენ.**

(იღება აღსავლის კარი)

მრწამსი

მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.

და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე, და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კვალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკვდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისა მის საუკენესასა. ამინ.

დიაკონი: **ვ**სდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით, მოხედენ, წმიდასა ამას შესაწირავსა მშვიდობით შეწირვადსა.

გუნდი: წყალობა, მშვიდობა, შესაწირავი ქებისა.

მღვდელი: **მ**ადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღვთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა, იყავნ თქვენ ყოველთა თანა.

გუნდი: და სულისაცა შენისა თანა.

მღვდელი: **ზ**ე გვაქუნდინ გულნი.

გუნდი: გვაქუს უფლისა მიმართ.

მღვდელი: ვმადლობდეთ უფალსა.

გუნდი: ღირს არს და მართალ თაყვანის-ცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, სამებისა ერთ არსებისა და განუყოფელისა.

მღვდელი (ლოცვა):

ღირს არს და მართალ შენდა ქებად, შენდა კურთხევად, შენდა გალობად, შენდა მადლობად, შენდა თაყვანის-ცემად ყოველსა ადგილსა მეუფებისა შენისასა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი გამოუთარგმანებელი, მოუგონებელი, უხილავი, მიუწთომელი, მარადის ხარ, ვითარცა იგი ხარ, შენ, და მხოლოდშობილი ძე შენი, და სული შენი წმიდა. რამეთუ შენ არა არსისაგან ყოფად მომიყვანენ ჩვენ, და დაცემულნი კვალად აღმადგინენ და არა განეყენე, ყოვლისა ქმნად, ვიდრემდის ზეცად აღმიყვანენ ჩვენ და მოგვმადლე ჩვენ სასუფეველი მერმისა:

ამათ ყოველთა-თვის გმადლობთ შენ, და მხოლოდშობილსა ძესა შენსა, და სულსა შენსა წმიდასა, ყოველთა-თვის, რომელ უწყით, და რომელ არა უწყით, საჩინოთა და უჩინოთა ქველისმოქმედებათა ჩვენდა მომართ ქმნილთა, გმადლობთ შენ შეწირვისაცა ამის-თვის, რომლისა ხელთაგან ჩვენდა შეწირვა ღირს იჩინე, დაღათუ შენსა გარემოს სდგანან ათასეულნი მთავარანგელოზთანი და ბევრეულნი ანგელოზთანი, ქერუბიმნი და სერაფიმნი, ექუს-ექუს ფრთენი, მრავალ-თვალნი, აღპყრობილნი ფრთეებითა:

ასამაღლებელი: ძლევისა გალობისა, მგალობელნი, მხმობელნი, მღაღადებელნი და მეტყველნი:

გუნდი: წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა: ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მაღალთა შინა.

მღვდელი (ლოცვა):

შემდგომად ამათ სანატრელთა ძალთა ჩვენცა, მეუფეო კაცთმოყვარეო, ვხმობთ და ვიტყვით: წმიდა ხარ და ყოვლადწმიდა, შენ, და მხოლოდშობილი ძე შენი, და სული შენი წმიდა. და დიდადშვუენიერ დიდება შენი, რომელმან სოფელი შენი ესრეთ შეიყვარე, ვიდრე მიცემადმდეცა მხოლოდშობილისა ძისა შენისა, რათა ყოველსა, რომელსა რწმენეს მისსა მიმართ არა წარსწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნო, რომელი იგი მოვიდა რა, და ყოველი ჩვენ-თვის განგებულება სრულ-ჰყო, ღამესა, რომელსა მიეცემოდა, უფროსღა მისცემდა თავსა თვისსა ცხოვრებისათვის სოფლისა, მოიღო პური წმიდათა ზედა უხრწნელთა და უბიწოთა ხელთა, გმადლობდა და აკურთხა, და წმიდა-ჰყო, და განსტესა, და მისცა წმინდათა მისთა მოწაფეთა და მოციქულთა, მეტყველმან:

ასამაღლებელი: **მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, ტქვენ-თვის განტეხილი მისატევებელად ცოდვათა.**

გუნდი: ამინ.

მღვდელი: **მსგავსადვე და სასმელისა ყოვლად სერობისა, სთქვა:**

ასამაღლებელი: **ჰსუთ ამისგან ყოველთა, ესე არს**

სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, თქვენ-თვის, და მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა.

გუნდი: ამინ.

მღვდელი (ლოცვა):

მომხსენებელნი უკვე საცხოვრებელისა ამის მცნებისა და ყოველთა ჩვენ-თვის ქმნილთა: ჯვრისა, დაფლვისა სამ დღე და აღდგომისა, ზეცად აღსვლისა, მარჯვენით დაჯდომასა, მეორისა და დიდებულისა კვალად მოსლვისა.

ასამაღლებელი: **შენნი შენთაგან, შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოვლისა-თვის.**

გუნდი: შენ გიგალობთ, შენ გაკურთხებთ, შენ გმადლობთ, უფალო, და გევედრებით შენ, ღმერთო ჩვენო.

მღვდელი (ლოცვა):

მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას და უსისხლოსა მსხვერპლსა, და გხადით შენ, და შეგივრდებით, და გევედრებით, გარდამოავლინე სული შენი წმიდა ჩვენ ზედა, და წინა მდებარეთა ძღვენთა ზედა.

მღვდელი: **უფალო, რომელმან ყოვლადწმიდა სული შენი ჟამსა მესამესა მოციქულთა შენთა გარდამოუვლინე და განანათლენ იგინი, მას, სახიერო, ნუ მიმიღებ ჩემგან, არამედ განმიახლენ მვედრებელსა შენსა.**

დიაკონი: **გული წმიდა დაბადე ჩენთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.**

მღვდელი: უფალო, რომელმან ყოვლადწმიდა სული შენი ჟამსა მესამესა მოციქულთა შენთა გარდამოუვლინე და განანათლენ იგინი, მას, სახიერო, ნუ მიმიღებ ჩემგან, არამედ განმიახლენ მვედრებელსა შენსა.

დიაკონი: ნუ განმაგდებ მე პირისა შემისაგან, და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

მღვდელი: უფალო, რომელმან ყოვლადწმიდა სული შენი ჟამსა მესამესა მოციქულთა შენთა გარდამოუვლინე და განანათლენ იგინი, მას, სახიერო, ნუ მიმიღებ ჩემგან, არამედ განმიახლენ მვედრებელსა შენსა.

დიაკონი *(ორარით მიუთითებს წმიდა პურზე)* : აკურთხე, მეუფეო, წმიდა პური ესე.

მღვდელი *(აკურთხებს წმიდა პურს)* :

და ჰყავ უკვე პური ესე პატიოსან ხორც ქრისტეს შენისა

დიაკონი: ამინ. აკურთხე მეუფეო წმიდა ბარძიმი ესე.

მღვდელი *(აკურთხებს წმიდა ბარძიმს)* :

ხოლო ბარძიმსა ამას შინა პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა.

დიაკონი: ამინ. *(მიუთითებს წმიდა ძღვენზე)* : აკურთხე, მეუფეო, ორივე.

მღვდელი *(აკურთხებს ერთად ორთავე სიწმიდეს)* :

შესცვალე სულითა შენითა წმიდითა.

დიაკონი: ამინ, ამინ, ამინ.

მღვდელმსახურნი აღასრულებენ მეტანიას

დიაკონი: მომიხსენე მე, წმიდაო მეუფეო.

მღვდელი: მოგიხსენოს შენ უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

დიაკონი: ამინ.

მღვდელი (ლოცვა):

რათა ექმნეს მიმღებელთა განსაფრთხობელად სულისა, მისატევებელად ცოდვათა, ზიარებად წმიდისა სულისა შენისა, სასუფეველსა ცათასა დამკვიდრებად, კადნიერებად წინაშე შენსა, ნუ სასჯელად, გინა დასასჯელად:

მერმეცა შევწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას მსხვერპლსა სარწმუნოებით შესვენებულთათვის პირველთა მამათა,

მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, ქადაგთა, მახარებელთა, მოწამეთა, აღმსარებელთა, მმარხველთა და ყოვლისა სულისა სარწმუნოებით აღსრულებულისა.

ასამაღლებელი: **უმეტესად ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროსადკურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა.**

გუნდი: ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესა სერაბიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

მღვდელი (ლოცვა):

წმიდისა წინასწარმეტყველისა იოანე, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და წმიდისა *(სახელი)*, რომლისაცა ხსენებასა აღვასრულებთ, და ყოველთა

წმიდათა შენთათა, რომელთა ვედრებითა მომხედენ ჩვენ, ღმერთო.

და მოიხსენენ ყოველნი დაძინებულნი სასოებითა აღდგომისა და ცხოვრებისა საუკუნოისათა *(სახელები)*:

და განუსვენე მათ, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა.

მერმეცა გევედრებით შენ, მოიხსენე, უფალო, ყოველი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, მართლმკვეთელნი სიტყვისა

შენისა ჭეშმარიტებისა, ყოველი მღვდლობა, და ქრისტეს მიერ დიაკონობა, და ყოველი სამღვდელო დასი.

მერმეცა შევწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას მსხვერპლსა სოფლისათვის, და წმიდისა, კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიისათვის, უბრალოდ და ღირსებით მოქალაქობისა მქონებელთათვის:

ღვთივდაცულისა ერისა ჩვენისა, მთავრობისა და მხედრობისა მისისათვის. მიეც მათ, ყფალო, მშვიდობით მეფობაი, რათა ჩვენცა მყუდროებასა შინა მათსა დაწყნარებული და მყუდრო ცხოვრებაი გვაქუნდეს, ყოვლითა კეთილმსახურებითა და პატიოსნებითა.

ასამაღლებელი: **პირველად მოიხსენე, უფალო, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე, მამაი ჩვენი ილია, და უფალი ჩვენი ყოვლადუსამღვდელოესი** *(სახელი მმართველი ეპისკოპოსისა)*, **რომელი მოჰმადლე წმიდასა შენსა ეკლესიასა, მშვიდობით, ცოცხლებით, პატიოსნად, სიმრთელით, დღეგრძელობით, მართლმკვეთელობით სიტყვისა შენისა ჭეშმარიტებისათა.**

გუნდი: ყოველთა და ყოვლისათვის

მღვდელი (ლოცვა):

მოიხსენე, ყფალო, ქალაქი, რომელსა შინა ვსხემობთ, და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი, და სარწმუნოებით მკვიდრნი მას შინა, მოიხსენე, უფალო, მენავენი, მოგზაურნი, სნეულნი, მშრომელნი, ტყვეობაში მსხემნი და ცხოვრება მათი. მოიხსენე,

უფალო, ნაყოფის მომრთმელნი და კეთილისმყოფელნი წმიდათა შენთა ეკლესიათანა და მომხსენებელნი გლახაკთანი და ჩვენ ყოველთა ზედა მოწყალებანი შენი გარდამოავლინე.

ასამაღლებელი: **და მომეც ჩვენ, უფალო, ერთითა პირითა და ერთითა გულითა დიდებად და გალობად ყოვლადპატიოსანსა და დიდადშვენიერსა სახელსა შენსა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.**

გუნდი: ამინ.

მღვდელი: **და იყვნენ წყალობანი დიდისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი თქვენ ყოველთა თანა.**

გუნდი: და სულისაცა შენისათანა.

თხოვნითი ქვერეკსი:

დიაკონი: **ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა, მერმე და მერმე მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.**

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ *(ყოველ მუხლზე)*

- რათა კაცთმოყვარემან ღმერთმან ჩვენმან, შემწირველმან ამათმან წმიდასა და ზესთა ცათასა, და

საცნაურსა საკურთხეველსა მისსა, საყნოსელად სუნად სუნელად შეიწირნეს, და ნაცვლად გარდამოგვივლინოს ჩვენ საღმრთო მადლი სულისა წმიდისა, ვილოცოთ.

- ხსნად ჩვენდა ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

- შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

- დღე ყოველი აღსრულებად სიწმიდით, მშვიდობით და უცოდველად, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

გუნდი: მოგვმადლენ უფალო *(ყოველ მუხლზე)*

- ანგელოზი მშვიდობისა, სარწმუნო წინამძღვარი, მცველი სულთა და ხორცთა ჩვენთა, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

- შენდობა და მოტევება ცოდვათა და უსჯულოებათა ჩვენთა, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

- კეთილნი და უმჯობესნი სულთა ჩვენთანი, და მშვიდობა სოფლისა, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

- შემდგომნი ჟამნი ცხოვრებისა ჩვენისანი, მშვიდობით და სინანულით აღსრულებად, უფლისა მიმართ ვითხოვოთ.

- ქრისტეანობითნი აღსასრულნი ცხოვრებისა ჩვენისანი, უჭირველნი, ურცხვენელნი, მშვიდობითნი,

და კეთილი სიტყვისგება წინაშე საშინელისა სამსჯავროსა ქრისტესსა ვითხოვოთ.

- ერთობასა სარწმუნოებისასა და ზიარებასა სულისა წმიდისა მთხოველთა, თავნი თვისნი და ურთიერთას, და ყოველი ცხოვრებაი ჩვენი ქრისტესსა ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ.

გუნდი: შენ, უფალო.

მღვდელი (ლოცვა):

შენ შეგვედრებთ ყოველსა ცხოვრებასა ჩვენსა და სასოებასა, მეუფეო კაცთმოხვარეო, და გხადით შენ, და გევედრებით, და შეგივრდებით, ღირ-მყუენ ჩვენ მოღებათ ზეცისა შენთა შესაძრწუნებელთა საიდუმლოთა, ამის სამღვდელოსა და სულიერისა ტრაპეზისათა. წმიდისა სვინიდისითა, მოსატევებელად ცოდვათა, შესანდობელად ბრალთა, სულისა წმიდისა ზიარებად, სასუფეველსა ცათასა დამკვიდრებად, ნუ სასჯელად გინა დასასჯელად.

ასამაღლებელი: **და ღირსმყვენ, ჩვენ, მეუფეო, კადნიერებით, დაუსჯელად კადრებად, და ხდად შენდა, ზეცათა ღმრთისა მამისა, და თქმად:**

გუნდი: **მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა. წმიდა იყავნ სახელი შენი. მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს; და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანაბდებთა მათ ჩვენთა; და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.**

ასამაღლებელი: **რამეთუ შენი არს სუფევა, და ძალი, და დიდება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე**

გუნდი: ამინ.

მღვდელი: **მშვიდობა ყოველთა.**

გუნდი: და სულისაცა შენისათანა.

დიაკონი: თავნი ჩვენნი უფალსა მოუდრიკნეთ.

გუნდი: შენ, უფალო.

მღვდელი (ლოცვა):

გმადლობ შენ, მეუფეო უხილავო, რომელმან უზომოითა ძალითა შენითა ყოველნი დაბადებ და სიმრავლითა წყალობისა შენისათა არა არსისაგან ყოფად მომიყვანენ ჩვენ ყოველნი: შენ, მეუფეო ზეცით მოიხილე მათ ზედა, რომელთა მოუდრეკიან შენდა თავნი მათნი, რამეთუ არა ხორცთა და სისხლთა მოუდრიკნეს, არამედ შენ, საშინელსა ღმერთსა, შენ უკვე, მეუფეო, ჩვენ ყოველთა წინა მდებარენი კეთილად განაწრფელენ, თითოეულისა სახმარისაებრ: მენავეთა თანა მენავობად, მოგზაურთა თანა მოგზაურობად, სნეულნი განკურნენ, მკურნალო სულთა და ხორცთაო.

ასამაღლებელი: **მადლითა, და წყალობითა, და კაცთმოყვარეებითა, მხოლოდშობილისა ძისა შენისათა, რომლისა თანა კურთხეულ ხარ, თანა**

ყოვლადწმიდით სახიერით, და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

მღვდელი (ლოცვა):

მოიხილე, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, წმიდით სამკვიდრებელით შენით და საყდრით დიდებისა სუფევისა შენისათა, და მოვედ წმიდა ყოფად ჩვენდა, რომელი ზე მამისა თანა მჯდომარე ხარ, და აქა ჩვენ თანა უხილავად თანა მყოფობ: და ღირს მყუენ ჩვენ, მტკიცითა ხელითა შენითა მოცემად ჩვენდა უხრწნელი ხორცი შენი და პატიოსანი სისხლი შენი, და ჩვენ - მიერ ყოველსა ერსა შენსა.

(იხურება აღსავლის კარი)

დიაკონი: მოხედენ.

მღვდელი: წმიდა წმიდათა.

გუნდი: ერთ არს წმიდა. ერთ არს უფალი იესო ქრისტე, სადიდებელად ღვთისა, მამისა, ამინ.

დიაკონი: *(საკურთხეველში)* **განსტეხე, მეუფეო, წმიდა პური.**

მღვდელი *(განყოფს ოთხ ნაწილად წმიდა პურს შიშით და კრძალვით და იტყვის)* **: განიტეხების და განიყოფის ტარიგი ღმრთისა, განიტეხების და არა განიყოფის, მარადის იჭამების და არა დაილევის, არამედ მზიარებელთა განსწმედს.**

დიაკონი *(მიუთითებს ორარით წმიდა ბარძიმზე)* **:**

აღავსე, მეუფეო, წმიდა ბარძიმი.

მღვდელი *(აიღებს „იე“ (იესო) ნაწილს, ამათ გამოსახავს ჯვარს წმიდა ბარძიმის თავზე და ჩაუშვებს ბარძიმში მას სიტყვებით)* **:** **ა**ღვსება სულისა წმიდისა.

დიაკონი: **ა**მინ. *(მიუტანს მღვდელს ტაკუკით მდუღარეგას და იტყვის) :* **ა**კურთხე, მეუფეო, მდუღარეგაი.

მღვდელი *(აკურთხებს)* **:** **კ**ურთხეულ არს მდუღარეგა წმიდათა შენთა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დიაკონი *(ჩაუშვებს ბარძიმში მდუღარეგას ჯვარს სახით სიტყვებით)* **:**

მდუღარეგა სარწმუნოებისა, აღვსება სულისა წმიდისა, ამინ.

მღვდელი აიღებს „ქე“ (ქრისტე) ნაწილს და გაყოფს მას საზიარებელ მღვდელთმსახურთა რიცხვის მიხედვით და შემდეგ ყველანი ერთად ლოცულობენ: ***გვიხსენ, გვილხინე და მოგვიტევენ, ღმერთო, ცოდვანი ჩვენნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, საქმითნი, სიტყვითნი, გულისსიტყვითნი და მოგონებითნი, დღისითნი და ღამითნი, გონებით და გულისხმისყოფით, ყოველნივე ცოდვანი ჩვენი შეგვინდევ, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან.***

ლოცვის შემდეგ მღვდელთმსახურნი აღასრულებენ მეტანიას წმიდა ტრაპეზის წინ, ერთმანეთის მიმართაც და ითხოვენ შენდობას. მეტანიას აღასრულებენ აგრეთვე ტაძარში მყოფ მორწმუნეთა მხარესაც სიტყვებით: ***შეგვინდეთ მამანო და ძმანო.*** *შემდეგ ისევ აღასრულებენ მეტანიას სიტყვებით:* ***აჰა, ესერა მოვალ უკვდავისა მეუფისა და ღმრთისა ჩემისა.***

მღვდელი: **დ**იაკონო, მოვედ.

დიაკონი *(ემთხვევა წმიდა ტრაპეზს და მღვდლის ხელს, მიიღებს წმიდა პურს და იტყვის)* : მომეც მე, მეუფეო, პატიოსანი და წმიდა ხორცი უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

მღვდელი: *(სახელი)* სამღვდელოსა დიაკონსა მოგეცემის პატიოსანი და წმიდა და უხრწნელი ხორცი უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მოსატევებელად ცოდვათა შენთა და ცხოვრებად საუკუნოდ.

მღვდელიც *(აიღებს წმიდა პერის ნაწილს)* : პატიოსანი და ყოვლადწმიდა ხორცი უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი მომეცემის მე *(სახელი)* მღვდელსა, მოსატევებელად ცოდვათა ჩემთა და ცხოვრებად საუკუნოდ.

მღვდელთმსახურნი ლოცულობენ:

მრწამს, უფალო, და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტად ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ. კვალად მრწამს, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი ხორცი შენი, და ესე არს თვით პატიოსანი სისხლი შენი. შენ უკვე გევედრები, შემიწყალე მე, და შემინდევ მე შეცოდებანი ჩემნი,

ნებსითნი და უნებლიეთნი, სიტყვით და საქმით, მეცნიერებით და უმეცრებით, და ღირს მყავ მე დაუსჯელად ზიარებად უხრწნელთა საიდუმლოთა შენთა, მოსატევებელად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ, ამინ.

სერობასა საიდუმლოსა შენისასა დღეს, ძეო ღვთისაო, ზიარებად შემიწყნარე; რათა არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმლო შენი, და არცა ამბორს გიყო ვითარცა იუდა, არამედ ვითარცა ავაზაკი აღგიარებ შენ: მომიხსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა.

რათა არა სასჯელად გინა დასასჯელად მექმნას მე ზიარება წმიდათა შენთა საიდუმლოთა, უფალო, არამედ საკურნებელად სულისა და ხორცისა. ამინ.

მღვდელი *(ეზიარება წმიდა ბარძიმიდან და ლოცულობს)* : პატიოსანსა და წმიდასა სისხლსა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა, ვეზიარები მე, მონა ღვთისა, მღვდელი *(სახელი)*, მოსატევებელად ცოდვათა ჩემთა და ცხოვრებად საუკუნოდ, ამინ. *(ემთხვევა ბარძიმის კიდეს) და იტყვის:* ესერა შეეხო ბაგეთა ჩემთა, და მომიტევებს უსჯულოებასა ჩემსა, და ცოდვასა ჩემსა განწმენდს.

(ასევე ეზიარება დიაკონი)

შემდეგ მღვდელთმსახურნი ლოცულობენ:

გმადლობ შენ, მეუფეო, კაცთმოყვარეო, ქველისმოქმედო სულთა ჩვენთაო, რამეთუ მოწევნულსაცა ამას დღესა ღირს-მყუენ ჩვენ, ზეცისათა შენთა უკვდავთა საიდუმლოთა, მართლმკვეთელ-ყვენ გზანი ჩვენნი, დამამტკიცენ ჩვენ შიშსა შინა შენსა ყოველნივე, შეიცევ ცხოვრებაი ჩვენი, უცთომელ-ჰყვენ სვლანი ჩვენნი, ლოცვითა და ვედრებითა წმიდისა და დიდებულისა ღვთისმშობელისა, და მარადისქალწულისა მარიამისათა, და ყოველთა წმინდათა შენთათა.

ამის შემდეგ მღვდელი წმიდა პურის (ტარიგის) „ძლ“ და „ვა“ (ძლევა) ნაწილებს დაყოფს მაზიარებელი მრევლისთვის, ჩაუშვებს გარძიმში და ლოცულობს საიდუმლოდ:

აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ, თაყვანის-ვჰსცეთ წმიდასა ამას უფალსა დიდებისასა იესოს, მხოლოსა ღმერთსა ჩვენსა და ესრეთ ხმა-ვჰყოთ: ჯვარსა შენსა თაყვანის-ვჰსცემთ, ქრისტე მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ; რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი, და ჩვენ შენსა გარეშე სხვა ღმერთი არა ვიცით; მოვედით, ყოველნი მორწმუნენი, თაყვანის-ვჰსცეთ ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა აღდგომასა, რამეთუ აჰა ესერა მოიწია ჯვრისა მიერ და აღდგომისა სიხარული ყოვლისა სოფლისა, მარადის ვაკურთხევდეთ ქრისტესა, და უგალობდეთ აღდგომასა მისსა, რამეთუ ჯვარცმა თავს-იდვა ჩვენთვის, და სიკვდილითა სიკვდილი განაქარვა.

განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ, დღეს დიდება უფლისა შენზედა გამობრწყინდა, განსცხრებოდე და იხარებდ სიონ და აწ შენცა იშვებდი, ღვთისმშობელო, აღდგომასა ძისა შენისასა.

ჰოი, პასექო დიდო და სამღვდელო, ქრისტე: ჰოი სიბრდძნეო, და სიტყვაო ღვთისაო, და ძალო, მამეც ჩვენ უსრულესი შენთა მზიარებელთა სერობა, დღესა სუფევისა შენისასა.

იღება აღსავლის კარები. დიაკონი გამოაბრძანებს წმიდა ბარძიმს, აღამაღლებს და იტყვის:

შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით.

(ბარძიმს გადასცემს მღვდელს).

გუნდი: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ.

მღვდელი: მრწამს უფალო და აღვიარებდა, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტად ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ. კვალად მრწამს, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი ხორცი შენი, და ესე არს თვით პატიოსანი სისხლი შენი. შენ უკვე გევედრები, შემიწყალე მე, და შემინდევ მე შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, სიტყვით და საქმით, მეცნიერებით და უმეცრებით, და ღირს მყავ მე დაუსჯელად ზიარებად უხრწნელთა საიდუმლოთა

შენთა, მოსატევებელად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ, ამინ.

სერობასა საიდუმლოსა შენისასა დღეს, ძეო ღვთისაო, ზიარებად შემიწყნარე; რათა არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმლო შენი, და არცა ამბორს გიყო ვითარცა იუდა, არამედ ვითარცა ავაზაკი აღგიარებ შენ: მომიხსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა.

რათა არა სასჯელად გინა დასასჯელად მექმნას მე ზიარება წმიდათა შენთა საიდუმლოთა, უფალო, არამედ საკურნებელად სულისა და ხორცისა. ამინ.

ერის კაცთა ზიარებისას მღვდელი ამბობს:

პატისანსა და წმიდასა ხორცსა და სისხლსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა ეზიარება მონა ღვთისა *(სახელი)*, მოსატევებელად ცოდვათა თვისთა და ცხოვრებად საუკუნოდ.

გუნდი: *(ზიარებისას)* ხორცი ქრისტესი მოვიღოთ და უკვდავებისა წყაროსა გემო ვიხმიოთ.

ზიარების დამთავრების შემდეგ მღვდელი აღამაღლებს წმიდა ბარძის.

გუნდი: ალილუია *(3-გ ზის).*

საკურთხეველში მღვდელი წმიდა გარძიმში ჩაუშვებს ცოცხალთა და მიცვალებულთა სახელებზე ამოღებულ სეფისკვერთა ნაწილებს და იტყვის: **მ**იუტევენ, უფალო, ცოდვანი აქა მოხსენებულთა, პატიოსნითა სისხლითა შენითა, მეოხებითა წმიდათა შენთათა.

ასამაღლებელი: **ა**ცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი.

მღვდელს წმიდა გარძიმი გადააქვს სამსხვერპლოზე და ამბობს: **ა**მაღლდი ცათა შინა ღმერთო, და ყოველსა ქვეყანასა ზედა არს დიდება შენი.

გუნდი: ნათელი ჭეშმარიტი ვიხილეთ, ზეცათა სული მოვიღეთ, ვპოვეთ სარწმუნოება ჭეშმარიტი, და განუყოფელსა სამებასა თაყვანის-ვსცემთ, რათა მან გვაცხოვნეს ჩვენ.

მღვდელი: **კ**ურთხეულ არს ღმერთი ჩვენი

ასამაღლებელი: **ყ**ოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

აღავსე პირი ჩემი ქებითა შენითა, უფალო, რათა უგალობდე დიდებასა შენსა, რამეთუ ღირს-მყუენ ჩვენ ზიარებად წმიდათა შენთა საღმრთოთა, უკვდავთა, და ცხოველსმყოფელთა საიდუმლოთა, დაგვმარხენ ჩვენ სიწმიდეთა შინა შენთა, ყოველსა დღესა გვასწავენ სიმართლენი შენნი: ალილუია, ალილუია, ალილუია.

დიაკონი: **ა**ღემართენით მიმღებელნი საღმრთოთა, წმიდათა, უხრწნელთა, უკვდავთა, ზეცისა ცხოველთა,

საშინელთა ქრისტეს საიდუმლოთა, ღირსებით ვმადლობდეთ უფალსა.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ.

- შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ, და დაგვიცვენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

- დღე ყოველი აღსრულებად, საწმიდით, მშვიდობით და უცოდველად მთხოველთა, თავნი თვისნი და ურთიერთ არს, და ყოველი ცხოვრებაი ჩვენი, ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შეევედროთ.

გუნდი: შენ, უფალო.

მღვდელი: რამეთუ შენ ხარ გამწმედელი ჩვენი, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

მღვდელი: მშვიდობით წარვიდეთ.

გუნდი: სახელითა უფლისათა.

დიაკონი: უფლისა მიმართ ვილოცოთ.

გუნდი: უფალო, შეგვიწყალენ.

ამბიონის ლოცვა

(მღვდელი დგება ამბიონის წინ):

რომელი აკურთხევ მაკურთხეველთა შენთა უფალო, და წმიდა-ჰყოფ შენდა მომართ მსასოებელთა შენთა, აცხოვნე ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, სავსება ეკლესიისა შენისა დაიცევ, წმიდა-ჰყვენ მოყვარენი სახლისა შენისა შვენიერებისანი; შენ იგინი ნაცვლად ადიდენ საღმრთოითა ძალითა შენითა, ნუ დამაგდებ ჩვენ, მოსავთა შენთა. მშვიდობა სოფელსა მოანიჭე, ეკლესიათა შენთა, მღვდელთა, მხედართა და ყოველსა ერსა შენსა. რამეთუ ყოველი მოცემა კეთილი, და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო არს შთამომავალი შენ მიერ, მამისაგან ნათლისა; და შენდა დიდებასა, და მადლობასა, და თაყვანისცემასა აღვავლენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ. იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერთგან და უკუნისამდე *(3-გ ზის).*

ლოცვა წინად მოკაზმისა სიწმიდისა

მღვდელი *(საკურთხეველში):* აღვსება სჯულისა და წინასწარმეტყველთა, შენ ხარ, ქრისტე ღმერთო ჩვენო, რომელმან აღავსე ყოველი მამობრივი განგებულებაი, აღავსე სიხარულითა და მხიარულებითა გულნი ჩვენნი, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

33-ე ფსალმუნი

ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა, მარადის ქება მისი პირსა ჩემსა. უფლისა მიერ იყოს სული ჩემი, ესმოდის მშვიდთა, და

იხარებდენ. განადიდეთ უფალი ჩემთანა და აღვამაღლო სახელი მისი მის თანა. გამოვიძიე უფალი და ისმინა ჩემი და ყოველთა ჭირთა ჩემთაგან მიხსნა მე. მოვედით მისსა და განათლდით და პირსა თქვენსა არა რცხვენეს. ამან გლახაკმან ხმა-ჰყო და უფალმან ისმინა მისი და ყოველთა ჭირთა მისთაგან იხსნა იგი. დაიბანაკებს ანგელოზი უფლისა გარემოს მოშიშთა მისთა და იხსნნეს იგინი. განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი; ნეტარ არს კაცი, რომელი ესავს მას. გეშინოდენ უფლისა ყოველთა წმიდათა მისთა, რამეთუ არა არს ნაკლულევანება მოშიშთა მისთა. მდიდარნი დაგლახაკდეს და შეემშია, ხოლო რომელნი ეძიებენ უფალსა, არა ნაკლულევან უქმნეს ყოვლისაგან კეთილისა. მოვედით, შვილნო, ისმინეთ ჩემი, შიში უფლისა გასწაო თქვენ. ვინ არს კაც, რომელსა ნებავს ცხოვრებაი და უყუარან ხილვად დღენი კეთილნი? დააცხვრე ენაი შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვასა. მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი, მოიძიე მშვიდობაი და მისდევდი მას. თვალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი მისნი ლოცვასა მათსა ზედა; პირი უფლისა მოქმედთა ზედა ძვირისათა, მოსპოლვად ქვეყანით სახსენებელი მათი, ხმობდეს მართალნი და უფალმან ისმინა მათი და ყოველთა ჭირთა მათთაგან იხსნნა იგინი. მახლობელ არს უფალი შემუსრვილთა გულითა და მდაბალნი სულითა აცხოვნნეს. მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იხსნნეს იგინი უფალმან. დაიცვნეს უფალმან ყოველნი ძვალნი მათნი და ერთიცა მათგანი არა შეიმუსროს. სიკუდილი ცოდვილთა ბოროტ არს, ხოლო რომელთა სძულდეს მართალი, უსჯულოებენ. იხსნნეს უფალმან სულნი მონათა მისთანი და არა სცოდონ ყოველთა, რომელნი ესვენ მას.

მღვდელი: **კ**ურთხევა უფლისა თქვენ ზედა, მისითა მადლითა და კაცთ-მოყვარეებითა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გუნდი: ამინ.

მღვდელი: **დ**იდება შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა.

გუნდი: დიდება, აწ და. უფალო, შეგვიწყალენ *(3-გ ზის).* გვაკურთხენ.

მღვდელი ამბობს განსატევებელს *(კვირას)*:

მკვდრეთით აღდგომილმან, ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისათა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა, წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა *(ან: ბასილი დიდისა, კესარია-კაბადოკიის მთავარეპისკოპოსისა)* და წმიდისა *(და სახელი წმინდამისა, ვისი სახელობისაც არის ტაძარი, და იმ წმინდანისაც ვისი სახელის ხსენებაცაა იმ დღეს)*, წმინდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანნასითა, და ყოველთა წმიდათათა, შეგვიწყალნეს და გვაცხოვნეს ჩვენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე.

განსატევებლის შემდეგ მღვდელი იღებს ტრაპეზიდან ჯვარს, აკურთხებს მრევლს. მრევლი ემთხვევა ჯვარს. იკითხება ზიარების შემდგომი სამადლობელო ლოცვები. მღვდელი შედის საკურთხეველში. იხურება აღსავლის კარი და კრეტსაბმელი.